საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 466-02
26/02/2019

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 13 თებერვლის №303-02 ბრძანებაში - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევითი ბაზების სასტუმრო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ''სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების''_ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტისა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 თებერვლის (რეგისტრ. №2535-35) წარდგინების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 13 თებერვლის ის №303-02 ბრძანებით დამტკიცებულ პირველ, მეორე პრიმა და მეოთხე დანართებში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის, დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისა (დიდი სასტუმრო) და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევითი ბაზების სასტუმრო მომსახურების ტარიფები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №1-ის-სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის რეგიონაური კვლევითი ბაზა, დანართი №2[1] -სა - დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კვლევითი ბაზა (დიდი სასტუმრო) და დანართი №4-ის - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევითი ბაზის - შესაბამისად;
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსს (გიორგი ოლგესაშვილი);
3. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურს, უნივერსიტეტის რეგიონალური კვლევითი ბაზების ადმინისტრატორებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურებს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი